

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N27/02/19-149

SMP190001085

CPV:79530000 - მთარგმნელობითი მომსახურება

V-VI კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოს

(გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის N149) გადამუშავების/თარგმნის შესახებ

ქ. თბილისი

27 თებერვალი 2019 წ.

ერთი მხრივ, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ (შემდგომში - „სააგენტო“), წარმოდგენილი დირექტორის ზვიად როსტომაშვილის სახით

და

მეორე მხრივ, საავტორო უფლების მფლობელი შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ (საიდენტიფიკაციო N204931164, შემდგომში - „საავტორო უფლების მფლობელი“) წარმოდგენილი დირექტორის თინათინ მამულაშვილის (პირადი N01018000166) სახით (გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის N149 მათემატიკა V-VI კლ.), (ერთობლივად წოდებულნი როგორც „მხარეები“)

ითვალისწინებენ რა, რომ

- შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ ფლობს საავტორო უფლებას V-VI კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოზე (გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის N149);
- შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ -სა და სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ შორის 2018 წლის 4 აგვისტოს გაფორმებული N04/08/18-149 ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით (შემდგომში „ლიცენზიის ხელშეკრულება“), საავტორო უფლების მფლობელმა ხელშეკრულებით განსაზღვრული საავტორო ჰონორარის სანაცვლოდ, სააგენტოს გრიფის მოქმედების ვადით გადასცა V-VI კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოს/სერიის გამოყენების უფლება (რეპროდუცირება, გავრცელების/მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა და ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება) „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის“ პროგრამით გათვალისწინებული ბენეფიციარების სახელმძღვანელოებით/სერიებით უზრუნველყოფის მიზნით;
- სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა“ და საავტორო უფლების მფლობელს შორის გაფორმებული ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულების თანახმად, სახელმძღვანელოს/სერიის გადამუშავებასთან (თარგმნა/ბრაილის ფორმატში გადაყვანა) დაკავშირებით, მხარეები შეიძლება წერილობით შეთანხმდნენ სახელმძღვანელოს/სერიის გადამუშავების ღირებულებაზე,
- შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ -მ 2019 წლის 25 იანვარს (წერილის N 75173) თანხმობა განაცხადა V-VI კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოების/სერიის (გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის N149) გადამუშავებაზე,

ხელმძღვანელოებენ რა, „სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 26 თებერვლის N1084 განკარგულების, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის №28/ნ ბრძანებით (შემდგომში - გრიფირების წესი), შეთანხმდნენ V-VI კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოს/სერიის (გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის N149) გადამუშავებაზე (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგი პირობებით:

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საავტორო უფლების მფლობელის მიერ V-VI კლასის მათემატიკის (გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის N149) სახელმძღვანელოს/სერიის გადამუშავება-თარგმნა (ტექსტების სამეცნიერო რედაქტირება, კორექტირება, სტილისტური გასწორება, დაკაბადონება), რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის“ პროგრამით გათვალისწინებული (არაქართულენოვანი) ბენეფიციარების სახელმძღვანელოებით/სერიებით უზრუნველყოფის მიზნით.

## მუხლი 2. შესრულების ვადა

საავტორო უფლების მფლობელი სახელმძღვანელოს თარგმნას უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 4 (ოთხი) თვის ვადაში;

## მუხლი 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1. სააგენტოს უფლება აქვს:

3.1.1. საავტორო უფლების მფლობელისგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

3.1.2. თარგმანში ნაკლის ან/და ხარვეზ(ებ)ის აღმოჩენის შემთხვევაში, საავტორო უფლების მფლობელისგან მოითხოვოს ნაკლის/ხარვეზის გამოსწორება (დამატებითი ანაზრაურების გარეშე);

3.1.3. საავტორო უფლების მფლობელისგან მოითხოვოს ინფორმაცია სახელმძღვანელოების თარგმნის მიმდინარეობის, ხარისხისა და პირობების შესახებ;

3.1.4. ნათარგმნი სახელმძღვანელო/სერია თარგმანის ავთენტურობის შესამოწმებლად წარუდგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს;

3.1.5. მოითხოვოს საავტორო უფლების მფლობელის ბრალით, მათ შორის, შესრულების ვადების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება;

3.1.6. გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებები.

3.2. სააგენტო ვალდებულია:

3.2.1. საავტორო უფლების მფლობელს გადაუხადოს ჰონორარი ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით;

3.2.2. ხელი შეუწყოს საავტორო უფლების მფლობელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში;

3.2.3. მოთხოვნის შემთხვევაში, საავტორო უფლების მფლობელს მიაწოდოს ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

3.2.4. განიხილოს საავტორო უფლების მფლობელის წინადადებები და მიიღოს გადაწყვეტილებები;

3.2.5. ჰქონდეს კომუნიკაცია საავტორო უფლების მფლობელთან და საჭიროების შემთხვევაში, მისცეს მას შესაბამისი ინსტრუქციები და მითითებები;

3.2.6. მოახდინოს რეაგირება საავტორო უფლების მქონე პირის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევებზე;

3.2.7. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ვალდებულებები.

3.3. საავტორო უფლების მფლობელს უფლება აქვს:

3.3.1. სააგენტოსგან მოითხოვოს ჰონორარი ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით;

3.3.2. სააგენტოსგან მოითხოვოს ვალდებულებ(ებ)ის შესრულებასთან დაკავშირებული/საჭირო ინფორმაციის მიწოდება;

- 3.3.3. სააგენტოსგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა;
- 3.3.4. სააგენტოს წარუდგინოს რეკომენდაციები სახელმძღვანელო(ებ)ის თარგმნასთან დაკავშირებით;
- 3.3.5. ID148-ით გრიფირებაზე წარდგენილი სახელმძღვანელოს/სერიის რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თარგმნის, სამეცნიერო რედაქტირების, კორექტირების, სტილისტური გასწორების, დაკაბადონებისა და თარგმანის ავტენტურობის დადგენის შემდეგ მოითხოვოს ჰონორარის გაცემა სალიცენზიო ცელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;
- 3.3.6. გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებები.
- 3.4. საავტორო უფლების მფლობელი ვალდებულია:
- 3.4.1. განახორციელოს V-VI კლასის მათემატიკის (გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის N149) სახელმძღვანელოს/სერიის თარგმნა რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე;
- 3.4.2. თარგმანი შეასრულოს შესაბამისი (ტექნიკური, მათემატიკური) ტერმინოლოგიის გამოყენებით და ლინგვისტური სტანდარტების დაცვით;
- 3.4.3. სახელმძღვანელოს/სერიის თარგმნა განახორციელოს მაღალი აკადემიურ დონეზე და ტექსტის შინაარსი და სტილი სრულად შეუსაბამოს დედანს;
- 3.4.4. უზრუნველყოს ნათარგმნი ტექსტების დამუშავება და დედანის შესაბამისი სურათების, ნახატების, ცხრილების, სქემებისა და დიაგრამების ტექსტში ჩასმა;
- 3.4.5. მოახდინოს ნათარგმნი ტექსტების სამეცნიერო რედაქტირება, კორექტირება, სტილისტური გასწორება და დაკაბადონება.
- 3.4.6. მოთხოვნის შემთხვევაში, სააგენტოს წარუდგინოს ინფორმაცია თარგმანის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის შესახებ;
- 3.4.7. მოთხოვნისთანავე/სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში წარადგინოს ინფორმაცია/ანგარიში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;
- 3.4.8. იხელმძღვანელოს სააგენტოს ცალკეული ინსტრუქციებითა და მითითებებით;
- 3.4.9. დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან საფრთხე შეუქმნას მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას;
- 3.4.10. დადგენილ ვადაში თარგმანი წარუდგინოს სააგენტოს;
- 3.4.11. თარგმანში ხარვეზის/ნაკლის აღმოჩენის ან/და დედანთან შეუსაბამო/არაავტენტური თარგმანის წარმოდგენის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ მითითებულ ვადაში, დამატებითი ანაზღაურების გარეშე შეასწოროს გამოვლენილი ნაკლი ან/და ხარვეზი;
- 3.4.12. ყოველწლიურად უზრუნველყოს სახელმძღვანელოების/სერიების ნაბეჭდი გამოცემების ხელმისაწვდომობა მათი რეალიზაციის გზით, იმ კერძო სკოლების (არაქართულენოვანი) მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ არიან „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის“ პროგრამის ბენეფიციარები და ამ მიზნით, მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია კერძო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობების შესახებ კლასებისა და სკოლების მიხედვით.
- 3.4.13. უზრუნველყოს მასწავლებლებისთვის მასწავლებლის წიგნის ელექტრონულ ფორმატში ხელმისაწვდომობა და სახელმძღვანელოს/სერიის ელექტრონული რესურსების თავისუფალი და შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა სააგენტოსთვის წარდგენილი, მის მიერ ადმინისტრირებადი ვებგვერდის მეშვეობით;
- 3.4.14. შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მაგრამ საჭიროა საავტორო უფლების მქონე პირის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებისთვის.

მუხლი 4. ჰონორარი. გადახდის წესი და პირობები

- 4.1. ჰონორარი მოიცავს სახელმძღვანელოს/სერიის თარგმნის, ტექსტების სამეცნიერო რედაქტირების, კორექტირების, სტილისტური გასწორებისა და დაკაბადონების ღირებულებას (შემდგომში – ღირებულება).
- 4.2. ღირებულება მოცემულია დანართი 1-ს სახით და მოიცავს საავტორო უფლების მფლობელის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელ ნებისმიერ გადასახადს, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადს.
- 4.3. ჰონორარს ტირაჟის მიხედვით წარმოადგენს „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის“ პროგრამით გათვალისწინებული ბენეფიციარების გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოთი/სერიით უზრუნველყოფის მიზნით დაანგარიშებულ თანხას და გადაიხდება ყოველწლიურად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული სასწავლო წლის დაწყების თარიღამდე ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით.
- 4.4. სააგენტო უფლებამოსილია გამოუქვითოს საავტორო უფლების მფლობელს პირგასამტეხლოს ანაზღაურების ან/და ხარვეზით შესრულებული თარგმანის ღირებულების თანხა იმ გადასახდლებიდან, რომლის გადახდაც ეკისრება სააგენტოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და მხარეებს შორის გაფორმებული ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულების შესაბამისად.
- 4.5. ჰონორარის გადახდა განხორციელდება მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების ან შედარების აქტის საფუძველზე აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

#### მუხლი 5. განცხადებები და გარანტიები

- 5.1. საავტორო უფლების მფლობელი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
  - 5.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დროისათვის ფლობს სახელმძღვანელოს/სერიის რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თარგმანის განხორციელებისთვის საჭირო საშუალებებს და ჰყავს კვალიფიციური თარჯიმნები;
  - 5.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების დადება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს სახელშეკრულებო, სასამართლო, საკანონმდებლო ან/და სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც პასუხისმგებელია საავტორო უფლების მფლობელი;
  - 5.1.3. წინამდებარე ხელშეკრულების დადების/ხელმოწერის მომენტისთვის, ის არ მონაწილეობს არც ერთ დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან/და სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულების ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას;
  - 5.1.4. სააგენტოს წარუდგენს სახელმძღვანელოების/სერიის ზუსტ და სრულ, დედნის შესაბამის თარგმანს;
- 5.2. მხარეები აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ სააგენტო მხოლოდ აღნიშნული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს წინამდებარე ხელშეკრულებას ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ს/შეთანხმებებს.

#### მუხლი 6. პასუხისმგებლობა პირობების შეუსრულებლობისთვის

- 6.1. მხარეებმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ ვადაში.
- 6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ღირებულება იანგარიშება თარგმანისა და ტირაჟის მიხედვით გადასახდელი ჰონორარის ჯამური ღირებულებით.
- 6.3. ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს წერილობით ეცნობება ვალდებულების დარღვევის თაობაზე და განესაზღვრება გონივრული ვადა, არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა, მის აღმოსაფხვრელად.
- 6.4. ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, სააგენტო უფლებამოსილია საავტორო უფლების მფლობელს ერთჯერადად დააკისროს ჯარიმა ღირებულების 10 %-ის (ათი პროცენტი) ოდენობით და ამასთანავე, ღირებულების 0.01% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. ამასთან, ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, სააგენტო უფლებამოსილია თავად ან მესამე პირების საშუალებით უზრუნველყოს გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიის გადამუშავება, ხოლო სააგენტოს მიერ გაწეული ხარჯი და ხელშეკრულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება სრულად დაეკისრება საავტორო უფლების მფლობელს.

6.5. თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

6.6. ზიანის ანაზღაურება, ჯარიმის ან/და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს საავტორო უფლების მფლობელს შესაბამისი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებისგან.

6.7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმები, პირგასამტეხლო, აგრეთვე, საავტორო უფლების მფლობელის მიერ ასანაზღაურებელი სააგენტოს მიერ გაწეული ხარჯები გამოიქვითება საავტორო უფლების მფლობელისთვის ასანაზღაურებელი ჰონორარიდან.

6.8. სააგენტო პასუხს არ აგებს საავტორო უფლების მფლობელის ქმედებაზე, რომლის შედეგადაც ზიანი მიადგა მესამე პირ(ებ)ს.

#### **მუხლი 7. დაუძლეველი ძალა**

7.1. არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორული გარემოებების) ზემოქმედების გამო, რომელიც დაიწყო ან/და განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და მისი მოქმედების განმავლობაში.

7.2. ამ მუხლის მიზნებისთვის ფორსმაჟორი არის დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებელად და შეუძლებელია მისი წინასწარ გათვალისწინება, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

7.3. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია ასეთი გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ ათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

#### **მუხლი 8. ცვლილების შეტანა**

8.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

8.2. ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით და ხელმოწერილი უნდა იქნეს ორივე მხარის მიერ.

#### **მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები**

9.1. ხელშეკრულება ძალაშია 2019 წლის 30 ივლისის ჩათვლით;

9.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

9.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

9.2.2. ვადის გასვლით, თუ არ არსებობს ამ ვადის გაგრძელების პირობები;

9.2.3. სააგენტოს ინიციატივით, თუ საავტორო უფლების მფლობელი არღვევს/არაჯეროვნად ასრულებს შეთანხმების პირობებს და ამგვარ დარღვევას არ გამოასწორებს შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში. აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეს. ასეთ შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, სააგენტო უფლებამოსილია თავად ან მესამე პირების საშუალებით უზრუნველყოს გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიის გადამუშავება.

9.2.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

#### **მუხლი 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

10.2. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 11. დასკვნითი დებულებები**

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს/დამატებას და განიხილება მასთან ერთად.

11.2. დაუშვებელია ამ ხელშეკრულებით დადგენილი უფლებების ან/და ვალდებულებების მთლიანი ან/და ნაწილობრივი დათმობა ან მესამე პირისათვის გადაცემა, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.4. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით თანხმდებიან, რომ ისინი გაეცნენ ყველა პირობას და სრულად აცნობიერებენ აღებულ პასუხისმგებლობასა და მის თანმდევ სამართლებრივ შედეგებს.

11.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელიც თანაბრად ნაწილდება მხარეთა შორის.

**მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები**


**სააგენტო**


**საავტორო უფლების მფლობელი**

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“  
მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1  
ს/კ 202294980, სახ. ხაზინა: ა/ა 200122900  
კოდი: 220101222

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N150  
ს/კ 204931164 ბანკი: სს „პროგრედიტ ბანკი“  
ბანკის კოდი: MIBGGE22

ანგ. GE32PC0133600100037192

  
ზვიად როსტომაშვილი  
დირექტორი

  
თინათინ მამულაშვილი  
დირექტორი 204931164

საგანი	სათარგმნი მასალა	სიმბოლოს რაოდ.	სათარგმნი გვერდების რაოდ.	ვერდის თარგმნის ღირებ.	თარგმანის უკანური ღირებულებ.	დასაკაბადო წებული ფორიკური მ. რაოდენობა	ფორიკური გვერდის დაკაბადო ნება	დაკაბადონების უკანური ღირებულებ.	საოფისე ხარჯები (ფორიკურა დი)	კოორდინა ტორის ხელფასი (ფორიკურა დი)	ჯამი გადასახადებს გარეშე	საშემოსავლო გადასახადი 20%	გამომცემლის მოგება 15%	დღე - 18%	ჯამი ერთ ენაზე გამოცემის	შენაზე გამოცემის ღირებულება
ID 149 მათემატიკა V-VI	მათემატიკა 5 მოსწ წიგნი	220053	122	25	3056	208	7	1456								
	მათემატიკა 5 მასწ წიგნი	120694	67	25	1676	110	7	770								
	მათემატიკა 6 მოსწ წიგნი	219876	122	25	3054	216	7	1512								
	მათემატიკა 6 მასწ წიგნი	94777	53	25	1316	88	7	616								
	სულ				9103			4354	500	1000	14957	3614	2786	3844	25201	75602.43
														ჯამი	25201	75602

